სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/125

ქ. თბილისი 29 მაისი 2018

სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების
შემსწავლელი ცენტრის თანამდებობებზე განმეორებით
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის, ზ. ლომსაძის 2018 წლის 28 მაისის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს განმეორებით კონკურსი სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის შემდეგ სამეცნიერო თანამდებობებზე:
   - მიწის, წყლის და ტყის რესურსების და ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
   - ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და ტურიზმის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
   - მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;

2. თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე კანდიდატთა მიმართ წაყენებული იქნება დამატებითი მოთხოვნები, რომელიც წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის;
3. კონკურსი გამოცხადდეს არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისისა;
4. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
5. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორს ზ. ლომსაძეს;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**